netgazeti.ge

დევიდ ლინჩი საქართველოს პარლამენტში [ფოტო]

დღეს, 19 ნოემბერს საქართველოს პარლამენტს დღეს ოფიციალური ვიზიტით ცნობილი ამერიკელი რეჟისორი დევიდ ლინჩი და დევიდ ლინჩის ფონდის (DLF) დელეგაციის წევრები ესტუმრნენ.

სტუმრებს განათლებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ, მარიამ ჯაშმა და კომიტეტის წევრმა, ნუკრი ქანთარიამ უმასპინძლეს. შეხვერდას ესწრებოდნენ კულტურის მინისტრი მიხეილ გიორგაძე და განათლების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი.

პარლამენტის ცნობით, შეხვედრაზე ისაუბრეს იმ შესაძლებლობებზე, რომელიც არსებობს რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტისა და სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო უნივერსიტეტების ბაზაზე და რომელიც, პირველ ეტაპზე, შეიძლება გამოყენებული იქნას ახალი სკოლის დაფუძნების თვალსაზრისით.

„ასევე, შეიძლება იყოს საუბარი ერთობლივ კინოპროდუქციებსა და კინოფესტივალებზე, რომელიც კინოინდუსტრიის გაგრძელება იქნება... უდიდესი ამერიკელი რეჟისორის სურვილია, საქართველოში დაფუძნდეს საერთაშორისო კინოუნივერსიტეტი. ჯერ მხოლოდ კონცეფციის დონეზეა ამ საკითხის განხილვა. დიდი იმედი მაქვს, რომ ეს სურვილი სულ მალე რეალობად იქცევა

დიდი იმედი მაქვს, რომ ამ ვიზიტის შემდეგ, უდიდესი ამერიკელი რეჟისორი გახდება საქართველოს ერთგვარი ელჩი ჰოლივუდში" – განაცხადა მარიამ ჯაშმა.

დევიდ ლინჩი პარლამენტში. ფოტო: საქართველოს პარლამენტი

ლინჩის ვიზიტი უკავშირდება მისი სახელობის ფონდის საქართველოში დაარსებას, რომელიც 2017 წლის ივლისში დაფუძნდა. ფონდის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია დევიდ ლინჩის სახელობის ამერიკული უნივერსიტეტისა და A კლასის კინოფესტივალის დაარსება და TM (ტრანსცენდენტალური მედიტაციის) პროგრამის მეშვეობით ტრავმული სტრესის ქვეშ მყოფი ადამიანების ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია. სწორედ ამ საკითხებთან დაკავშირებით გამართავს რეჟისორი შეხვედრებს თბილისში.

20 ნოემბერს, 19:00 საათზე, კინოთეატრ "ამირანში" ლინჩის ფილმის "მალჰოლანდ დრაივის" ჩვენება გაიმართება, სადაც რეჟისორი მისასალმებელი სიტყვით მიმართავს იქ მყოფ საზოგადოებას. 20 ნოემბერსვე ლინჩი კლუბში "ხიდი" სტუდენტებს შეხვდება და მათ გაესაუბრება ტრანსცენდენტალური მედიტაციის ტექნიკის საშუალებით შემოქმედებით საქმიანობაში სრული პოტენციალის გამოყენებაზე.

DAVID LYNCH IN THE PARLIAMENT OF GEORGIA

Today, on the 19th of November the famous American film director and David Lynch Foundation delegation paid an official visit to the Parliament of Georgia.

The guests were hosted by the Chairperson of the Committee of Education, Culture and Science of Georgia Mariam Jashi and the member of the Committee Nukri Kantaria. The meeting was also attended by the Minister of Culture Mikheil Giorgadze and the Minister of Education Mikheil Chkhenkeli.

According to the Parliament the main discussion topic was related to the possibilities that exist on the base of Rustaveli Film and Theatre University as well other private or state Universities which might be used at this stage for establishing of a new Film University.

"Also we can discuss teh possibilities of joint film productions and film festivals which will be the continuation of the film industry... The great American film director is willing to establish an international film university in Georgia which at this moment is only on the concept level. I very much hope that this will can soon become a reality.

I have a big hope that after thsi visit the great American film director wil become an Ambassador of Georgia in Hollywood." – expressed Mariam Jashi.

Lynch's visit is related to the establishemnt of his Foundation in Georgia, which was founded in July of 2017. The main purposes of the Foundation are establishment of David Lynch American University and A Class Film Festival, as well as psychological rehabilitation of people with post-traumatic stress disorder by means of Transcendental Meditation. These will be the main topics of the meetings held by the film director.

On the 20th of November at 19:00 Lynch's film "Mulholland Drive" will beheld in the flm theatre Amirani where Lynch will make a greeting speech to the attending public. On the same day Lynch will meet students in the club "Khidi" and speak with them about unfolding the full creative potential by means of the technique of Transcendental Meditation.